დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108250176**

თარიღი:**17/01/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ყოველ სამუშაო დღეს, 09:00-დან 18:00 სთ-მდე, 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით. აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის გზით შემდეგ მისამართზე: dmanisiinfrastruqtura@gmail.com.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, ამ ბრძანების გამოქვეყნება შესაბამისი დანართით, დმანისის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში.

7. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს, ამ ბრძანების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით.

8. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე, მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) ლევან მანათაშაშვილი - სივრცითი მოწმობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ტელ: 591700283, ელ. ფოსტა: levanmantashashvili@gmail.com;

ბ) რაფაელ ისკანდაროვი - მერის წარმომადგენელი ამამლოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 595858513, ელ.ფოსტა: rafaeliskandar@gmail.com;

გ) დავით დაუთაშვილი - მერის წარმომადგენელი განთიადის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 595098987, ელ.ფოსტა: dautashvilid8@gmail.com;

დ) სპარტაკ მუჯირიშვილი - მერის წარმომადგენელი გომარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 599541561, ელ.ფოსტა: s.m.mujiri@gmail.com;

ე) ბესიკ ადუაშვილი - მერის წარმომადგენელი გუგუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 599448365, ელ.ფოსტა: besik aduashvili77@gmail.com;

ვ) ბექა მარტიაშვილი - მერის წარმომადგენელი დიდი დმანისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 557396705, ელ. ფოსტა: beqa.martiashvili.beqa@gmail.com;

ზ) ავთანდილ ოკმელაშვილი - მერის წარმომადგენელი დმანისის თემის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 599856732, ელ.ფოსტა: okmelashvilibato@gmail.com;

თ) ელმარ მამედოვი - მერის წარმომადგენელი იფნარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 577791532, ელ.ფოსტა: elmar247783@gmail.com;

ი) ვიდადი აბდულაევი - მერის წარმომადგენელი კამარლოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 599236625, ელ.ფოსტა: abdullaevv470@gmail.com;

კ) ზულფუგარ მიქაილოვი - მერის წარმომადგენელი კარაბულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 591019905, ელ.ფოსტა: zmikailovi@gmail.com;

ლ) ქამრან მამედოვი - მერის წარმომადგენელი კიზილქილისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 579045675, ელ.ფოსტა: kamranmamedovi593@gmail.com;

მ) ჰამლეტი ასლანიშვილი - მერის წარმომადგენელი მაშავერას ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 555717157, ელ.ფოსტა: hamleti.aslanishvili@bk.ru;

ნ) ქამრან ხიდიროვი - მერის წარმომადგენელი ოროზმანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 591019903, ელ.ფოსტა: xidirovk amran981@gmail.com;

ო) ემზარი პეტრიაშვილი - მერის წარმომადგენელი საკირეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 599856718, ელ.ფოსტა: petriashviliemzari6@gmail.com;

პ) ომარ გოგოჭური - მერის წარმომადგენელი სარკინეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 599803860, ელ.ფოსტა: omargogochuri@gmail.com;

ჟ) აზერ გასიმოვი - მერის წარმომადგენელი ირგანჩაის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ: 591700341, ელ.ფოსტა: gasimovazer8@gmail.com.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 იანვრის №108.1082401232 ბრძანება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან - საბას ქ. 113).

კობა მურადაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/